საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

სტუდენტი: ნონა ითაშვილი

ხელმძღვანელი: მაია დავითაია

თემა: პოლიციისშენობები, როგორცქვეყნისიდეოლოგიური "იარაღი"

პოლიციისშენობები, როგორცქვეყნისიდეოლოგიური "იარაღი"

არქიტექტურა ყველა ხელისუფლების იდეოლოგიური იარაღია. ხოლო ხელისუფლება შეიძლება იყოს დემოკრატიული, სოციალისტური, მონარქიული, ტოტალიტარული, პოლიციური, და ა.შ.დიახ, შეიძლება იყოს ტოტალიტარულ-პოლიციური, რაც სულ ცოტა ხნის წინ გადავიტანეთ.ეს იყო კლასიკური მაგალითი თავისი იდეოლოგიური არქიტექტურით. თუ გადავინაცვლებთ შორეულ წარსულში, ვნახავთ რომ სახელმწიფო წყობილება და მმართველები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობაზე. ყოველი ცივილიზაცია ტოვებს კვალს, არქიტექტურა ანარეკლია გარემოსი, სოციალური მდგომარეობის და პრობლემების. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ძველი რომი, საბერძნეთი, სპარსეთი, ეგვიპტე და ა.შ. იმ დროის არქიტექტორები ცდილობდნენ დაეკმაყოფილებინათ მმართველი პირების ამბიციები და განდიდების მანია, რაც კარგადაც გამოსდიოდათ. ვფიქრობ არქიტექტურა არასდროს არ ყოფილა და არ იქნება ,,ხელმოკლეთათვის", ყველა დაკვეთა ეკუთვნით იმ პიროვნებებს, ვის ხელშიც გარკვეული ძალაუფლებაა. ძალაუფლების ქონა იწვევს სურვილს მართო ადამიანები. დღევანდელობაში საუკეთესო მართვის ბერკეტი არის კანონი. კანონის დამრღვევი უნდა დაისაჯოს კანონდამცველისგან. მსოფლიოში კანონდამცველებად გვევლინებიან სამართალდამცავი ორგანოები, ანუ პოლიცია, მილიცია, პატრული, კარაბინერი და სხვა. ყველა ქვეყანაში მათ სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. თემაში განვიხილავ სამი ქვეყნის, საქართველოს, რუსეთის და კოლუმბიის პოლიციის შენობებს და მათ საკრალურ მნიშვნელობას მოცემულ დროსა და ადგილას. საქართველოს მაგალითზე, პოლიციის შენობების აქცენტირება, მისი გათანამედროვეობის მცდელობა, როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე არქიტექტურულ ჭრილში იყო და დღესაც მნიშვნელოვანია. რუსეთის მაგალითი, როდესაც საკმაოდ მაღალი კრიმინალის ფონზე, არ თვლის სახელმწიფო საჭიროდ პოლიციის რეორგანიზაციას, რადგან ორივე მხარე თითქმის თანაბრად არის ჩართული კორუფციაში. მესამე ქვეყანა სადაც ახლახანს დაეთმო ყურადღება სამართალდამცავ უწყებას, ეს არის კოლუმბია. ქვეყანა, სადაც კრიმინალის და ნარკო-ვაჭრობის დონე ძალიან მაღალია, ცდილობს ებრძოლოს ხსენებულ პრობლემას. სამივე სახელმწიფოს მიზანი, ყველა ხელისშემშლელი ფაქტორებისდა მიუხედავად, არის საზოგადოებისთვის თავის შეხსენება და კონტროლი!

შესავალში ვახსენე ცივილიზაციათა კვალი არქიტექტურაში. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე ასეთ კვალს წარმოადგენს ტაძრები და გალავნები. აი ამ ორ შენობაში შეიძლება მოკლედ გამოიხატოს საქართველოს ისტორიის ანარეკლი. ტაძრები ხაზს უსვამენ რელიგიურობას, გალავნები თავდაცვით ფუნქციას, რაც ასე ძალიან გვჭირდებოდა. იქ სადაც ერთ დროს ტაძრებს ვაშენებდით, 2004 წლიდან

დაიწყო პოლიციის შენობების აგება. პოლიციის შენობა ერთისთვის გახდა შიშისა და ჩაგვრის იარაღი, ხოლო სხვისთვის იმედი, რომელიც იზრუნებს უსაფრთხოებასა და წესრიგზე.გარკვეული იდეოლოგიის მატარებელთა აზრით, ის უნდა გამოჩენილიყო ყველა მხრიდან და დაეთესა შიშის გრძნობა!

სწორედ ასეთ ადგილასაა აშენებული ვაკე საბურთალოს პოლიციის ,,შთამბეჭდავი'' შენობა, ბავშვთა ქალაქის "მზიურის" თითქმის შუაგულში - ვაკისა და საბურთალოსგანაშენიანების, მდინარე ვერეს ღია სივრცეში. გაბატონებულ ადგილას, რომელსაც სწორედ „ადგილის დედა" ჰქვია, დგას არა თეატრი, არა მემორიალი, არამედ პოლიცია.ბილიკებს მივყავართ შემინული პოლიციის შენობასთან, რომელსაც თავზე გვირგვინის მსგავსად ადგას წარწერა POLICE. მას ,,მზიურში'', სარეკრეაციო ზონაში ჰექტარზე მეტი ტერიტორია აქვს შემოღობილი. სამწუხაროდ არცერთ პოლიციის შენობას მინიშნებაც კი არ აქვს ადგილის სულზე (Genius loci) ქვეყანაზე და მის კულტურაზე, შენობები თითქოს უსამშობლო და უმისამართოა. შენება როდი ნიშნავს ყოველთვის შენებას, ის ხანდახან ნგრევის ტოლფასია, როდესაც აშენებ იმას, რაც არ უნდა აშენდეს იქ, სადაც აშენებ.

რამდენიმე წლის წინ პოლიციის შენობა ატარებდა გარკვეულ ასოციაციებს და ,,ტრიუმფალურობას" თუმცა დღეს იგი თავისი პომპეზურობით უაზროდ გამოიყურება. მისი ამ სახით არსებობა საზოგადოების შეურაცყოფაა. როცა შიში გაივლის, რჩება ზიზღის გრძნობა. ზიზღი არ იწვევს აგრესიას, მაგრამ იწვევს ირონიულ ღიმილს, რაც აუცილებლად თავს იჩენს არჩევანის გაკეთების დროს!საქართველოში ბოლო წლებში მასობრივად შენდებოდა პოლიციის გამჭვირვალეშ ენობები, ასეთივეა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. რა ფენომენიაგამჭვირვალობის კენ სწრაფვა არქიტექტურაში?
ეს გახლავთ ვაზისუბნის პოლიცია. აშკარაა მისი განსხვავებული სტილი გარემოში. რკინის კონსტრუქცია, რომელიც მთლიანად შემინულია. სრული გამჭვირვალობა. ყველა გამვლელს შეუძლია დაინახოს, თუ რა ხდება შიგნით. პირამიდა დგას ბეტონის პიედესტალზე, პიედესტალს კი მიწიდან განათება უსმევს ხაზს. ესეც ერთგვარი პომპეზურობის მცდელობა.
მე ვფიქრობ ცოტაუხერხულიდაგულუბრყვილოახსნაა, რომგამჭვირვალეშენობებისმიზანისტრუქტურებისმუშაობისგამჭვირვალობაა.
ესდილეტანტურიტყუილია. საერთოდ, ისმიდგომახელოვნებასადაარქიტექტურაში, რომხელოვნებისრომელიმენაწარმოებირაიმესგამოხატავსდალიტერატურულიშინაარსია ქვს, ანტიხელოვნებაა. მინისდალითონისინტენსიურიგამოყენება 60-იანწლებშიდაიწყო, მაგრამამასმხოლოდგამომსახველობითი, დატვირთვააქვს. ამმასალისგამოყენებითმიიღწევაკონსტრუქციისსიმსუბუქეაღქმისთვალსაზრისით.
ესმხოლოდხელოვნებისსფეროადაახსნაპოლიციისმუშაობისგამჭვირვალობისარგუმენტ ით , მიუღებელია.
იყო პერიოდი, როდესაც აქტიურად დაიწო პოლიციის შენობების აგება საქართველოს მასშტაბით: თბილისში, ფოთში, ზესტაფონში, ახალციხეში, მცხეთაში და ა.შ. პოლიციის შენობები, ავტორიტარიზმის პერიოდის მთავარი არქიტექტურული თემა იყო, ისინი

ჩამორჩებიან სამშენებლო ხარისხით იუსტიციის სახლებს, თუმცა ატარებენ ერთ საერთო ნიშანს, ეს ნიშანი არის ქართულად და ინგლისურად დაწერილი POLICE. ძირითადი მასალა მინაა და ემოციურად ერთნაირად ცივი არიან.

ვარკეთილის პოლიციის ახალაშენებული შენობაშიც აქტიურია მინა, წრიული ფორმები, რომელიც წამყვანი ხაზია. დაგვირგვინებულია პოლიციის წითელი წარწერით. შენობას ამ შემთხვევაშიც არ გააჩნია დახურული ეზო, მისი შესასვლელი პირდაპირ ქუჩაში გამოდის. ესეც გახსნილობის ერ-ერთი მცდელობა და დამახასიათებელი ნიშანია მსგავსად სხვა შემთხვევებისა.

ეს გახლავთ ფოთის პოლიცია. აშკარად ვხედავთ ფორმების გამეორებას. არაფერი ახალი, უბრალოდ ერთი დამახასიათებელი ელემენტი - მინა, რომლის დანახვისას პოლიციის შენობები გვიტივტივდება თავში.

სოლოლაკის პოლიციის შენობაშიცთვალს ისევ გვჭრის აქტიური მინა, სივრცის გახსნა გარემოში, გამჭვირვალობა და გარშემო მოწყობილი მოსასვენებლი ზონა სკამებით, გამწვანებით და ლამპიონებით. თითქოს სივრცე ყველასთვის ღიაა. ზემოთ ჩამოთვლილი შენობები მთლიანად მინაშია გადაწყვეტილი განსხვავებით ავჭალის ან ტელევიზიის გვერდით მდებარე შენობებისგან, რომელიც ვიზუალურად შედარებით ჩაკეტილია.

ეს კოსტავაზე მდებარე პოლიციაა, რომელიც არ არის გამჭვირვალე. თუმცა მახასიათებლად პოლიციის სირენის ფერები აქვს, წითელი და ლურჯი. მოპირკეთებულია წყალგაუმტარი კომპოზიტური პანელებით. მის წინ მოწყობილია პარკი და არის საკმაოდ ნორმალური მცდელობა გამწვანებაზე ზრუნვის.

ავჭალის პოლიცია. როგორც ვხედავთ ჩვენს ქვეყანაში, ერთი შეხედვით შეგვიძლია ამოვიცნოთ პოლიციის შენობები. მათ უამრავი საერთო ნიშანი აქვთ: მასალა, ფერი, ფორმა, ხასიათი...ფერითი გადაწყვეტა: ლურჯი და წითელი. გარედან აქაც მოპირკეთებულია კომპოზიტური ფილებით.შენობის ირგვლივ მცდელობა არის გამწვანებაზე ზრუნვის, მცირე გაზონების და ბუჩქნარის მოწყობით. შენობებზე ინფორმაციის გაგების გარკვეულმა მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო. რადგან, გასაიდუმლოების გამო ხელმიუწვდომელია ინფორმაცია პოლიციის შენობების არქიტექტორებზე, ტენდერის მიმდინარეობასა და სამშენებლო საკითხებზე. პროექტები საკადასტრო მონაცემებით არ იძებნება არც tas.ge-ზე (თბილისის არქიტექტურის სამსახურის საიტზე) ეს ჩაკეტილობის და მიუწვდომლობის გრძნობა ცოტა სკეპტიკურად განგვაწყობს. ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ გამჭვირვალე მინის შენობები დემოკრატიის სიმბოლოა, თუმცა მასალა აგური, ხე, მინა ან ბეტონი არ შეიძლება იყოს დემოკრატიული და არც არადემოკრატიული. დემოკრატიულობა

არქიტექტურის მახასიათებელია და არა სამშენებლო მასალის. საერთო ჯამში ჩვენი ქვეყნის პოლიციის შენობებს შორის არიან საშუალო და ცუდი, მაგრამ თითქმის არ არის კარგი. დედაქალაქში პოლიციის შენობები დგას ცენტრალურ, გამორჩეულ და თვალშისაცემ ადგილებში, რაც ასევე მიგვითითებს გარკვეულ ტოტალიტარული ძლევამოსილების გამოხატულებაზე. ცალკეულ შემთხვევებში ეს იმდენად თვალშისაცემია, რომ მოქალაქეთა პროტესტსაც კი იწვევს. პოლიციის ის შენობები, რომლებიც აქტიურად მინით არ არის დაფარული, ფერითი აქცენტით ,,ყვირიან''. პოლიციის შენობებზე კონკურსი იყო გამოცხადებული, რომელშიც მონაწილეობას სტუდენტებიც იღებდნენ, წარმოდგენილი არაერთი საინტერესო პროექტი იყო, თუმცა, როგორც ჩანს არჩევანი სწორად არ გაკეთებულა პროექტის შერჩევისას და მშენებლობისას.

ჩემი თემის ჩამონათვალში, მეორე არის რუსეთი. არავისთვის არ არის დამალული ის ფაქტი, რომ ჩვენ მეზობელ ქვეყნის ყველა ორგანოში გამჯდარია კორუფცია. მთავრობა ფარულად თანამშრომლობს სხვადასხვა გარიგებებში, აქედან გამომდინარე საჭიროა მათი და პოლიციის მშვიდობიანი თანაცხოვრება. ხშირად პოლიცია არ გვევლინება სიმართლის დამცველად, არამედ კონკრეტული ადამიანების ინტერესების. რუსეთში პოლიციის თითქმის ყველა შენობა განთავსებულია უკვე აშენებულ, არსებულ შენობებში, რომლებიც ნეოკლასიკურ, ამპირულ ან სტალინური ტიპის არქიტექტურით ხასიათდება. იგი არ გამოირჩევა განსაკუთრებული ფორმებით ან არქიტექტურით, გარემოდან გამოსაყოფად იყენებენ ფერს, ესაც იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ახალი აშენებულია პოლიციის შენობა. კონსტრუქცია მარტივი ყოველგვარი არქიტექტურული მჭერმეტყველების გარეშეა. მათი არქიტექტურა მიუწვდომელია, ინახავს საიდუმლოს და გარეშე თვალისგან დახურულია.

არაერთი ქვეყანა იყო გაკვირვებული ჩვენი ქვეყნის რეფორმებით და ,,აღმშენებლობით'', იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში პოლიციის შენობების ბუმი დადგა, დიდი დაინტერესება წამოვიდა არაერთი ქვეყნიდან. ჩვენ ვიქეცით მაგალითი საერთაშორისო გამჭვირვალობის. რუსეთშიც როგორც სხვა დანარჩენ ქვეყნებში, უძღვნიდნენ სტატიებს ჩვენ შუშის არქიტექტურას. მაგ: ციტატა რუსული გაზეთიდან; ***14.04.2014, Россия*** | В свое время фотографии «прозрачного» здания МВД Грузии пользовались огромной популярностью в Рунете. Все их показывали друг другу с восклицаниями — вот, дескать, грузины молодцы, смотри, что придумали! 2016 წელს პეტერბურგში გამოცხადებულ კონკურსზე წარმოდგენილი იქნა მინით შემოფარგლული პოლიციის შენობა, (საპროექტო oneione. არქიტექტ. ალექსანდრ გრიგორიევი) სადაც ავტორი ყვება რეფორმების საჭიროებაზე და მაგალითისთვის საქართველო მოჰყავს. მისი წარმოდგენით თვითონ სამართალდამცავებს უნდა შევუცვალოთ გარემო, რომ მათი მიდგომებიც გარემოსადმი შეიცვალოს უკეთესობისკენ. შემინულ ნაწილში

წარმოდგენილი ჰქონდათ პოლიციელების სამუშაო ზონა, ხოლო ბეტონით დახურულში - დროებითი მსჯავრდებულების.

პროექტის გატანას და გამარჯვებას ჯერჯერობით პირი არ უჩანს

პოლიციის შენობა სიზრანში (ახალაშენებული) მოცემული შენობა აშენდა 2012-13 წლებში. ერთი შეხედვით ჩანს მისი უბრალოება. წარმოადგენს ჩვეულებრივ სწორკუთხა კუბს, რომელსაც წინ პორტიკი აქვს. წარწერას პოლიცია, როგორც ჩანს მხოლოდ ჩვენთან არ იყენებენ დომინანტად.

Полное название: Здание полицейского управления, суд земский и уездный Дата постройки: 1830-е гг... გვიანი კლასიციზმის სტილში (ამპირი) შესრულებული ასტრახანის პოლიციის შენობა, რომელიც 1830 წელს აშენებულია. ამ შემთხვევაში, უკვე არსებული შენობა გამოიყენეს. მე პირადად ეს მიდგომა მეტად მომწონს, ინარჩუნებ ძველს და აძლევ ახალ ფუნქციას. რაც მთავარია დაცულია ,,ადგილის სული“.

 როსტოვის პოლიციის ერთერთი შენობა, რომელიც აშენებულია მეოცე საუკუნის შუა პერიოდში. არც აქ ყვირიან ფერები, კარგად ჩანს, როგორ ორგანულად ზის შენობა გარემოში. თუმცა მას შორიდან ვერ გამოარჩევ სხვა შენობებისგან, მიახლოებისას კი დაინახავთ კუთხის პორტიკს წარწერით ,,პოლიცია“

 იჟევსკის ახალაშენებული პოლიციის შენობა (2014-15 წწ) აშკარაა, რომ კონკრეტული ერთი სტილი ან ფერი არ აქვთ გამოყოფილი პოლიციის შენობებისთვის. არც გამჭვირვალობისკენ სწრაფვის ამბიცია ჩანს.

ეს გახლავთ მოსკოვის ცენტრალური შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა, რომელიც XIX საუკუნეში ეკუთვნოდა თავად შერბატოვებს. პირველი მსოფლიო ომის დროს გადაეცათ სამხედრო ბატალიონებს და ორ სართულიან ყაზარმად იქნა გადაკეთებული. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ (1917 წ) თავადების ყოფილი სახლი გადაეცა მოსკოვის მილიციას. არქიტექტორმა ბ.ს. მეზენცევმა პროექტი მთლიანად შეცვალა, დაემატა რამდენიმე სართული და გვერდითა პორტიკები, რომელიც დღევანდელი სახით შემორჩა. ფუნქცია კი შინაგან საქმეთა სამინისტრო, პოლიციის ცენტრალური სამმართველო გახლავთ (Главное управление МВД). უამრავი ქვეყანა იყო გაკვირვებული ჩვენი ქვეყნის რეფორმებით და ,,აღმშენებლობით'', იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში პოლიციის შენობების ბუმი დადგა, დიდი დაინტერესება წამოვიდა არაერთი ქვეყნიდან. ერთ-ერთი რუსეთი იყო. ჩვენ ვიქეცით მაგალითი საერთაშორისო გამჭვირვალობის. რუსეთშიც როგორც სხვა დანარჩენ ქვეყნებში, უძღვნიდნენ სტატიებს ჩვენ შუშის არქიტექტურას. მაგ: ციტატა რუსული გაზეთიდან; ***14.04.2014, Россия*** | В свое время фотографии «прозрачного» здания МВД Грузии пользовались огромной популярностью в Рунете. Все их показывали друг

другу с восклицаниями — вот, дескать, грузины молодцы, смотри, что придумали! 2016 წელს პეტერბურგში გამოცხადებულ კონკურსზე წარმოდგენილი იქნა მინით შემოფარგლული პოლიციის შენობა, (საპროექტო oneione. არქიტექტ. ალექსანდრ გრიგორიევი) სადაც ავტორი ყვება რეფორმების საჭიროებაზე და მაგალითისთვის საქართველო მოჰყავს. მისი წარმოდგენით თვითონ სამართალდამცავებს უნდა შევუცვალოთ გარემო, რომ მათი მიდგომებიც გარემოსადმი შეიცვალოს უკეთესობისკენ. შემინულ ნაწილში წარმოდგენილი ჰქონდათ პოლიციელების სამუშაო ზონა, ხოლო ბეტონით დახურულში - დროებითი მსჯავრდებულების. რუსეთის პოლიციის შენობებზე დაყრდნობით თავისუფლად შეიძლება მათი სოციალური მდგომარეობის და მმართველობის ამოცნობა. მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამ კუთხით თუ შევხედავთ საქართველოს და რუსეთს, პარალელსაც თუ გავავლებთ, დავინახავთ, რომ ჩვენ გვაქვს მცდელობა ვიყოთ მეტად ღია და პროგრესულები, თუმცაყველამ კარგად იცის შიგნით უწყებებში რა ხდება, ვფიქრობ ეს ყველაფერი მაინც ფასადურია. რუსეთში არც მალავენ კორუფციულ დონეს და არც აწუხებთ, არ ცდილობენ ფასადურად შენიღბონ რამე, რადგან კარგად მოეხსენებათ რეალობა. ეს პირდაპირობაც ალბათ მათი ხასიათიდან გამომდინარე, მენტალობასაც ძალიან დიდი დატვირთვა აქვს ჩემი აზრით.

იმის დასამტკიცებლად კიდევ ერთხელ, რომ არქიტექტურა ქვეყნის მდგომარეობას გადმოსცემს მოცემულ დროში, მოვიყვან კოლუმბიის მაგალითს. კოლუმბია ერთ-ერთი მოწინავე კრიმინოგენური ქვეყანაა მსოფლიოში, 10 წლის წინ ჩატარებულ კვლევას თუ დავეყრდნობით, პირველი ადგილი ეკავა დანაშაულის სტატისტიკაში.

კრიმინალის სტატისტიკა 2010 და 2016 წლების მაგალითი.

აქ იყრიან თავს ნარკობარონები, იარაღით მოვაჭრეები, მძარცველები და ა.შ. დღეს შემცირებულია კრიმინალი, 1 ადგილიდან კოლუმბია 2016 წლის მონაცემებით გადავიდა მე-40 ადგილზე. პირველი ადგილივენესუელამ ჩაანაცვლა.ეს მიღწევა სახელმწიფოს კრიმინალთან ბრძოლის სურვილს და მონდომებას შეიძლება დავაბრალოთ.კოლუმბიაში აშენებული პოლიციის შენობების (Cai periferico) მიზანია გააუმჯობესოს კონფლიქტის მოგვარების გზები და ემსახუროს ქალაქის პრობლემების გადაწყვეტას. პროექტის მიზანია ხელი შეეწყოს მოქალაქის ხელმისაწვდომობას სპეცსამსახურებზე.პროექტიგადაწყვეტილია სტრატეგიულად და ინფრასტრუქტურულად ყველაზე უფრო სწორად. იგი ასევე ოპტიმალურად ითვისებს და იკავებს ფართს. მისი სტრატეგიულობა გამოიხატება ადგილმდებარეობაში, რომელიც ფერდობიდან გადაჰყურებს მთელ ქალაქ მედელინს. მოცემული პოლიციის შენობები აშენდა 2008-2011 წლებში. იქიდან გამომდინარე, რომ სტატისტიკურად კოლუმბია ერთ-ერთი მოწინავე კრიმინალური ქვეყანაა, საჭიროებს შესაბამის მართვის

ბერკეტს, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა უსაფრთხოებას. შენობები შექმნილია მედელინის პერიფერიის ფეხზე დასადგომად, პოლიციისა და სახელმწიფოს იმიჯის გასამყარებლად. მოცემულ საინვესტიციო პროექტს თან ახლდა სოციალური პოლიტიკის უსაფრთხოების პროგრამები, მიმართული მოსახლეობის ინტერესებზე. პოლიციის ეს წერტილები რეგულარულად, 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და ემსახურებიან მოქალაქეების უსაფრთხოებას. არქიტექტურულად იგი გახსნილი შენობაა (არ იგულისხმება შემინვა) მსგავსად ჩვენი შენობებისა არც მათ გააჩნიათ დახურული ეზო ან ღობე. მაღლობზე შეფენილი, ადგილობრივი შენობებისგან არქიტექტურით და ფერითი აქცენტით განსხვავებული, დღისით ყურადღებას იპყრობს ბეტონის ფაქტურისა და ერთი რომელიმე კონკრეტული ფერის დომინანტობა, ეს ფერებია: ყვითელი, ლურჯი, წითელი, სალათისფერი. (ერთ კონკრეტულ შენობაზე ერთი ფერი)

Cai Periferico-ს განათება ღამე თვალში მოსახვედრია მთელი ქალაქისთვის, მის ყველაზე მაღალ წერტილში მოწყობილია ერთგვარი გალავანი, საიდანაც ხელისგულივით იშლება ქალაქი, გალავანში ჩამონტაჟებულია პროჟექტორი, რომელიც ცაში იტყორცნის სინათლეს. ერთგვარი იმედის სხივივითაა. მოპოვებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებ, სხვა გზა არც მაქვს, რადგან ნამყოფი არ ვარ კოლუმბიაში, სახელწიფოს ნამდვილად აქვს სურვილი უფრო გახსნილი გახადოს პოლიცია, მისცეს უსაფრთხოების გარანტია კანონმორჩილთ. დამნაშავეებს კი ყოველთვის შეახსენოს თავი.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მმართველობა უდიდეს გავლენას ახდენს პოლიციის სტრუქტურებზე, რამდენად ღია და ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს მოსახლეობისთვის პოლიცია, ეს დამოკიდებულია სახელმწიფოზე. ძალიან მარტივად შეგვიძლია ვიმსჯელოთ პოლიციის შენობების მიხედვით, თუ რა მმართველობის ფორმებია გაბატონებული, რა შეზღუდვებია, როგორ მდგომარეობაშია ეკონომიკა, ან რაზე აქვს პრეტენზია მსოფლიო მასშტაბით ამა თუ იმ ქვეყანას. შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ პოლიცია პრობლემებს ან აგვარებს, ან წარმოშობს მათ. ამის დასამტკიცებლად და მოვიყვან მაგალითისთვის რამდენიმე კარიკატურას, სადაც ზუსტად ასახულია მოცემული ქვეყნების ავბედობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

http://drugoi.livejournal.com/3716710.html

http://iverioni.com.ge/print:page,1,16165-adgilis-deda-anu-policiis-shenoba-memorialad-unda-gadakethdes.html

http://fullpicture.ru/smile/kak-politsejskie-v-raznyh-stranah-mira-delayut-svoyu-rabotu.html

http://szaopressa.ru/construction/zdanie-politsii-postroyat-v-horoshevo-mnevnikah/

ვ.დავითაია - ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია